

## იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მუშაობის შეფასება

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციამ 2015 წელს ეფექტურად და ეფექტიანად იმუშავა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებთან ასევე, მოქალაქეებთან. მუნიციპალიტეტებთან ერთად, მხარეში არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. ჩვენთან, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურში, სპეციალური ჯგუფია შექმნილი, რომელიც ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას უწევს მონიტორინგს, ვცდილობთ რომ არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგები მივიღოთ.

რაც შეეხება მოქალაქეებთან კომუნიკაციას, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ყოველ პარასკევს არის მოქალაქეთა მიღება. მიმდინარე წელს სულ 146 მოქალაქე მივიღეთ, რაც შეეხება პრობლემებს რა თქმა უნდა, პროცენტულად ყველაზე დიდი მაჩვენებელი სოციალურ სფეროზე მოდის, რომელშიც შედის დასაქმებისა და საცხოვრებელი ფართის პრობლემებიც. ასევე, მოგვმართავენ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და სოფლის მეურნეობის მიმართულების განვითარების თხოვნით. დახმარებას ითხოვენ სტიქიის შედეგად დაზარალებულებიც, არის ეკოლოგიასთან და სატყეო ლიცენზიასთან დაკავშირებული პრობლემები. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია ცდილობს რომ რეგიონის მაცხოვრებლებს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა აღნიშნული პრობლემა სწრაფ დროში გადაუწყვიტოს ან რეკომენდაცია გაუწიოს შესაბამის დაწესებულებასთან და შუამავლის როლი იკისროს.

2015 წელს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზირებულ სისტემაზე გადავიდა. ახალი სისტემა ადამიანური რესურსების ელექტრონულად მართვის საშუალებას იძლევა.

ამ წელს ადმინისტრაციამ მუნიციპალიტეტის გამგებლებთან 12 რეგიონული თათბირი გამართა. ჩვენ დავნერგეთ ახალი პრაქტიკა და ყველა ეს შეხვედრა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გაიმართა. მსგავსი ტიპის გასვლითი შეხვედრების მიზანს ადგილობრივი თვითმმართველობების

წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენს. ასევე ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს ოთხი სხდომა.

### **ინფრასტრუქტურა**

იმერეთის რეგიონის საერთო ბიუჯეტმა 2015 წელს 2 მილიონ 700 000 ათას ლარზე მეტი შეადგინა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი იმერეთის რეგიონში 43 239 581 ლარის ღირებულების 151 პროექტი დაფინანსდა. თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მუნიციპალიტეტებში შიდა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დაიხარჯა. სულ 31 166 064 ლარის ღირებულების 78 პროექტი განხორციელდა. შემიძლია რამდენიმე მსხვილი და ისეთი პროექტის დასახელება, რომელმაც რეგიონში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ასევე, უსაფრთხო გახადა მგზავრებისა და ტრანსპორტის გადაადგილება. მაგალითად, ქალაქ ქუთაისში, გელათის ქუჩის გზის ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თერჯოლაში სოფ. ჩხარი-ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი 4 კმ-იანი გზის მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა, საჩხერეში სოფ. სავანის წრიდან აკ. წერეთლის ძიძისეულ კარ-მიდამომდე მისასვლელ ს/გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა, ტყიბულში სოფ.მუხურის გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ხარაგაულში ხარაგაული-ბაზალეთისა და კიცხი-ხიდარის გზების რეაბილიტაცია. აღნიშნული მონაკვეთები წლების განმავლობაში სრულად ამორტიზებული იყო, ამ მიმართულებით მუშაობა მომავალ წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

### **საბავშვო ბალების მშენებლობა/რეაბილიტაცია**

თქვენ იცით, რომ 2015 რეგიონში ბალების წლად იყო გამოცხადებული, ჩვენთვის მომავალი თაობების შესაბამის პირობებში აღზრდა პრიორიტეტია. იმერეთში საბავშვო ბალების რეაბილიტაციაზე 2 280 524 ლარი დაიხარჯა, ხოლო ახალი სკოლამდელი დაწესებულებების

მშენებლობაზე 2 154 844 ლარი. მე მიხარია რომ დღეს იმერეთში გაცილებით მეტი ბავშვი დადის სუფთა, მოწესრიგებულ და თბილ საბავშვო ბაღებში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესის ეფექტურად წარსამართად. ეს პროცესი შეუქცევადია და აუცილებლად გაგრძელდება მომავალში.

### სპორტული ინფრასტრუქტურა

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას. ამ მიმართულებით 1 492 885 ლარი დაიხარჯა. შემოდგომა რამდენიმე მსხვილი პროექტის დასახელება: ქუთაისში სპორტის სასახლეს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, წყალტუბოს ცენტრალური სტადიონი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო, ხოლო ქ. ხონში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეაბილიტაცია მოხდა.

რაგბის ბაზა ქუთაისში, წყალტუბოს საფეხბურთო მოედანი, ვანის საფეხბურთო მოედანი, ხონის საფეხბურთო მოედანი და სპორტული კომპლექსი, ტყიბულის სპორტული კომპლექსი.

### საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში ახალი საზოგადოებრივი ცენტრი ამოქმედდა.

სოფელ ღორეშაში მცხოვრები 3000 – მდე მოსახლე მუნიციპალურ ცენტრში წასვლის გარეშე 200–ზე მეტი სერვისის მიღებას შეძლებას. უახლესი ტექნიკით აღჭურვილ შენობაში ღორეშას მცხოვრებთ ადგილობრივი კადრები მოემსახურებიან. საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი და კომპიუტერები.

საზოგადოებრივი ცენტრის მიზანი სოფლის მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა. მისი კონცეფცია სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეიქმნა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ღორემას საზოგადოებრივი ცენტრი საქართველოში რიგით 21 – ე ცენტრია. იმერეთის რეგიონში ანალოგიური ტიპის დაწესებულებები უკვე ამოქმედდა გეგუთსა და კორბოულში.

## წყალმომარაგება

მე მინდა ყურადღება გავამახვილო რეგიონში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციაზე. თქვენ იცით წყლით უზრუნველყოფა როგორ დიდ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით, სოფლებში და ჩვენ ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად, ამ კუთხით მართლაც მასშტაბური სამუშაოები განვახორციელებთ. სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი სოფლების წყალმომარაგების პროექტი განხორციელდა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების სამუშაოები ჩატარდა. საჩხერეში სოფელ სავანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა განხორციელდა, მომავალ წელს ჭიათურაში იგეგმება გრანდიოზული პროექტი, რომელიც ქალაქში სრულად მოხსნის წყალმომარაგების პრობლემას. ასევე, ყველა მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა–რეაბილიტაციის პროცესი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აჯამეთის სარწყავი სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტი. სისტემა ემსახურება 2 829 ჰექტარს, მათ შორის 1 556 ჰექტარს ზესტაფონში, 793 ჰექტარს თერჯოლაში და 480 ჰექტარს ბაღდათის მუნიციპალიტეტში. თერჯოლის მუნიციპალიტეტში უკვე მზად არის ეწერის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. სისტემა 471 ჰექტარს ემსახურება. ვანის მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება ციხე–სულორის დამშრობი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. შესრულებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების 80% – ი. ხონის მუნიციპალიტეტში კი ხონი–სამტრედიის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობების აღდგენა–

რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტის ღირებულება 2 149 99 ლარს შეადგენს.

### გაზიფიცირება

2015 წელს იმერეთის რეგიონში ექსპლუატაციაში მიიღეს 1300 კ მეტრი გაზ/გამანაწილებელი ქსელი, რომელიც დაახლოებით 27 000 პოტენციური აბონენტს მოიცავს.

- 2015 წელს იმერეთის რეგიონში 12 700 მოსახლეს მიეწოდა ბუნებრივი აირი.
- აღსანიშნავია, რამოდენიმე რაიონი, რომლებშიც განხორციელდა გაზიფიცირების მასშტაბური პროექტები.
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის 20 სოფელში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 500 კმ. გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც მოიცავს 7 000 პოტენციურ აბონენტს. დღევანდელი მდგომარეობით აბონირებულია 3700 აბონენტი. აღნიშნულ სოფლებში გრძელდება გაზიფიცირების პროცესი.
- დასრულების სტადიაშია სამტრედიის მუნიციპალეტის 22 სოფლის, 6000 პოტენციური აბონენტის გაზიფიცირების პროცესი, აღნიშნულ სოფლებში ქსელის საერთო სიგრძე 200 კ მეტრს შეადგენს.
- იმერეთის რეგიონის სხვადასხვა რაიონებში (ზესტაფონი, ბაღდათი, წყალტუბო) ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 250 კმ მეტრი ქსელი, სავარაუდო აბონენტების რაოდენობა 7000 ოჯახს შეადგენს. აღნიშნული რაიონების სოფლებში (დილიკაური, კვალთი, პირველი ობჩა, მეორე ობჩა, დიმი, გვიშტიბი, ფარცანაყანევი, მეორე უბანი, ქვიტირი) მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი.
- სახელმწიფოს დაფინანსებით დასრულების პროცესშია დაქსელვითი სამუშაოები ქ. ხონში 4700 აბონენტის გაზიფიცირებასთან

დაკავშირებით, ასევე ქ. ტყიბულისა და სოფ. მუხურის გაზიფიკაცია 5800 აბონენტისათვის, ზესტაფონის რაიონის სოფლები აჯამეთი, ზორვეთი, პირველი სვირი. 1800 აბონენტისათვის.

## სახელმწიფო პროგრამები

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამები და პროექტები

მინდა შევეხო სოფლის მხარდაჭერ პროგრამასაც, რომელიც რეგიონში წარმატებით ხორციელდება. იმერეთში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს 8 514 045 ლარი დაიხარჯა. მხარის 11 მუნიციპალიტეტში 1 380 პროექტი განხორციელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს, რომლებსაც მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის კრებაზე თავად ირჩევს. თითოეული სოფლისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობას ადგილობრივ მცხოვრებელთა რიცხვი განსაზღვრავს. პროგრამის ბიუჯეტი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად უნდა იყოს მიმართული.

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა. სოფლის მოსახლეობა უპირატესობას რიტუალების სახლების, ბიბლიოთეკების, სოფლის კლუბებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობას ანიჭებს. ასევე, ხშირად არჩეულ პროექტებს შორის არის: სარწყავი და სანიაღვრე არხების, სკვერებისა და გარე განათებების მოწყობა, სოფლამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა და სასმელი წყლის ავზების მშენებლობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მუნიციპალიტეტებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ფონდების გარდა, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების კიდევ ერთ დამატებით წყაროს წარმოადგენს.

2015 წელს სოფლის მხარდაჭერის 50-მილიონიანი პროგრამის მეხუთე ეტაპი დაიწყო. პროგრამა უპრეცედენტოდ გამჭვირვალედ და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობით მიმდინარეობს.

### "აწარმოე საქართველოში"

2015 წლის 15 მარტიდან იმერეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ამოქმედდა. პროგრამის ფარგლებში დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე.

პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით.

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ემატება ახალი კომპონენტი, რომელიც რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას.

ახალი კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსებით.

## სოციალური თემატიკა

ჩვენი ხელისუფლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარება გაორმაგდა და მათი შემწეობა ერთ ადამიანზე 60 ლარი გახდა. გარდა ამისა, მათ აქვთ სხვადასხვა ტიპის დახმარებები. მაგალითად, სახელმწიფო მათ კომუნალური გადასახადების გადახდაში ეხმარება. იმერეთის რეგიონში საარსებო შემწეობას 62 117 ადამიანი იღებს ანუ 20 847 ოჯახი. ასევე, ძალიან ეფექტურად მუშაობს საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, რაც დიდი შეღავათია ჩვენი მოსახლეობისთვის, აღნიშნული პროგრამით რეგიონში ყოველთვიურად დაახლოებით 5 300 ადამიანი სარგებლობს.

### იძულებით გადაადგილებული პირები

ზოგადად, საქართველოში 15 000–მდე დევნილი ოჯახია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი. ამ ეტაპზე იმერეთში 1 000 – მდე ოჯახია დაკმაყოფილებული. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ–ერთი პრიორიტეტი იძულებით გადაადგილებული პირების დახმარებაა. იმერეთის მხარეში წელს რამდენიმე ობიექტი აშენდა და ახალი საცხოვრებელი ფართები დევნილებს გადავეცით. ქუთაისში ყოფილი კლინიკური საავადმყოფოს შენობა გარემონტდა და იქ შევასახლეთ დევნილები, ასევე 35 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს ახლად აშენებულ ბინაში ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საცხოვრებელი ფართები შეუძინა. სულ რამდენიმე დღის წინ კი 65 ოჯახი დადიანის ქუჩაზე ახლად რეაბილიტირებულ შენობაში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა. მინდა ავღნიშნო, რომ დევნილებისთვის ქუთაისში მასშტაბური მშენებლობა დაიწყო. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შარტავას ქუჩაზე, 6 წლის მანძილზე 25 კორპუსი აშენდება, სადაც 2 000 ოჯახი შესახლდება. პირველ ეტაპზე 2 თექვსმეტ სართულიანი კორპუსი აშენდება და 160 ოჯახი დაკმაყოფილდება. ასევე, მშენებლობის დაწყება იგეგმება წყალტუბოს მუნიციპალიტეტშიც. ჩვენ წელს მოვახერხეთ და ხონის მუნიციპალიტეტში სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ 200 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, 1 ლარად დავუკანონეთ.

## ჯანდაცვა

2015 წელს ჯანდაცვის მიმართულებით იმერეთის რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. რამდენიმე მუნიციპალიტეტს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის შენობები გადაეცა, სოფლებში ამბულატორიები აშენდა და ახალი საავდმყოფო აშენდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალი შენობა გაიხსნა.

ხარაგაულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალ ადმინისტრაციულ 145კმ.მ ფართობის შენობაში პერსონალისთვის მოსასვენებელი და სამუშაო ოთახებია გამოყოფილი. აქვეა გათვალისწინებული მედიკამენტების შესანახი სივრცე. ახალგარემონტებულ შენობაში გადასვლამდე, წლების განმავლობაში, ცენტრის თანამშრომლები კეთილმოუწყობელ ნაგებობაში იყვნენ განთავსებულნი, სადაც სათანადო პირობები არ იყო შექმნილი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის ადმინისტრაციული შენობების გადაცემის პროცესი გრძელდება.

ზესტაფონის სასწრაფოს რაიონული ცენტრი თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობაში განთავსდა. ახლად რეაბილიტირებული ფართი 120 კვადრატულ მეტრს მოიცავს. გამოყოფილია მოსასვენებელი ოთახები ექიმების, ექთნებისა და მძღოლებისათვის. სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონულ ცენტრს ახალი ინვენტარიც გადაეცა, რომლითაც მთლიანად აღიჭურვა ადმინისტრაციული შენობა. ზესტაფონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი წლების განმავლობაში ერთ–ერთი დაწესებულების სარდაფში იყო განთავსებული. თანამშრომლებს მუშაობა არასახარბიელო პირობებში უწევდათ, რაც სამედიცინო პერსონალს საქმიანობის ეფექტურად შესრულებაში უშლიდა ხელს.

საჩხერის მუნიციპალიტეტში ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა.

ქარძმანის, სინაგურისა და პერევის ადგილობრივ მცხოვრებლებს ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის 10 სხვადასხვა პროფილის ექიმმა პირველადი სამედიცინო მომსახურება გაუწია. გამოკვლევები იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ჩატარდა.

სოფელ პერევეში ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ამბულატორია გაიხსნა, სადაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით რამდენიმე სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს.

### **განათლება**

განათლების მიმართულებით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი და პროგრესული ნაბიჯები გადადგა, რაც ბუნებრივია იმერეთზეც აისახა. ზოგადად, 60 პროცენტით შემცირდა ოჯახის დანახარჯი განათლებაზე, საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები. რეაბილიტაცია ჩატარდა სკოლებს და ასევე, აშენდა რამდენიმე სკოლაც. ჩვენ წელს გავხსენით ვანის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელში - ზედა ვანში სკოლის ახალი შენობა, სადაც 300 მდე მოსწავლე თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობაში ისწავლის. ასევე, ამ ბავშვებს გადავეცით უფასო სახელმძღვანელოები და პორტატული კომპიუტერები განათლების სამინისტროსთან ერთად. მანამდე აღნიშნულ სოფელს დაახლოებით 30 წელი სკოლის შენობა არ ჰქონდა და ბავშვები ავარიულ შენობას აფარებდნენ თავს. ასევე, მაღალმთიან სოფლებში მოსწავლეებისთვის დაინიშნა უფასო ტრანსპორტი, რომელიც საქართველოში სულ 1 150 სკოლას ემსახურება.

### **ინკლუზიური ცენტრები და პანდუსები**

ჩვენ ასევე, ინტენსიურად ვმუშაობთ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე და ასევე, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე. რეგიონში აღნიშნული მიმართულებით რამდენიმე პროექტი განხორციელდა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და განახლებული სარეაბილიტაციო ცენტრი "ორიონი" ფუნქციონირებს. სარეაბილიტაციო ცენტრში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული მასშტაბური პროექტის ფარგლებში, თერაპიული კაბინეტები ამოქმედდა. განახლებული ინფრასტრუქტურა ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვის საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესს. ასევე, დაგეგმილია „ორიონის“ მასწავლებელთა გადამზადება პოლონეთის რესპუბლიკაში.

სარეაბილიტაციო ცენტრ "ორიონს" საქართველოში ანალოგი არ აქვს. მსგავსი ცენტრი გაიხსნა წყალტუბოში, რომელსაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს და ასევე, ხარაგაულში.

ქუთაისში, ჭიათურისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებთან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პანდუსები მოეწყო. აღნიშნული პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. პროექტის მიზანს შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი ჩართულობის გაზრდა წარმოადგენს.

## კულტურა

ერთ–ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი თემაა კულტურული ობიექტები, რომელთა რეაბილიტაციაც რეგიონში ამ სფეროს განვითარებასთან პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული. მიმდინარე წელს აღნიშნული მიმართულებით იმერეთში 1 162 320 ლარი დაიხარჯა და 8 პროექტი განხორციელდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით მომავალ წლებში უფრო ეფექტურად უნდა ვიმუშაოთ.

ხონის მუნიციპალიტეტში თეატრის რეაბილიტირებული შენობა გაიხსნა. ასევე, მოეწყო სამუსიკო სკოლის შენობა.

ხონის თეატრში რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა, 1000 კვ. მ. ფართობის შენობა სრულად

გარემონტდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა როგორც გარე ფასადს, ასევე ინტერიერს: სცენას, პარტერს, საგრძნობრობებსა და ადმინისტრაციულ ოთახებს. შენობაში თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და განათების სისტემებიც დამონტაჟდა. პროექტი გარდამავალი იყო და საერთო ღირებულებამ 900 000 ლარი შეადგინა.

ასევე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში სამხატვრო გალერეა გაიხსნა. რეაბილიტირებულ შენობაში სამხატვრო სკოლა და ორი საგამოფენო დარბაზი განთავსდა. სამხატვრო სკოლა, რომელსაც არსებობის 30 წლიანი ისტორია აქვს, ამ დრომდე ამორტიზებულ შენობასა და შეუსაბამო პირობებში ფუნქციონირებდა. თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ სკოლაში სამხატვრო ხელოვნებას 50 მოსწავლე დაეუფლება. სამხატვრო გალერეის შენობის სრული რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 47 000 ლარით დაფინანსდა.

## ტურიზმი

იმერეთის რეგიონი უმდიდრესი ტურისტული რესურსებით გამოირჩევა:

რეგიონში 1 200 – ზე მეტი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლია, ტურისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სათაფლიის ნაკრძალი და პრომეთეს მღვიმე, ოკაცეს კანიონი, 74 ათასი ჰა მოცულობის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სულ იმერეთს 250 ათასი ჰექტარი ტყის მასივი აქვს.

ისეთი კურორტები კი როგორცაა: საირმე და წყალტუბო, ნუნისი და სულორი, ბალნეოლოგიურ საკურორტო ზონას მიეკუთვნება. იმერეთში სულ 53 საკურორტო და ბალნეოლოგიური ზონაა.

იმერეთის ტურიზმში უდიდეს რესურსად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის ტურიზმი (აგროტურიზმი), რომლის განვითარებისთვის სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს, უკვე გაჩნდა ღვინის გზის აღმნიშვნელი ფირნიშები, ფერმერთა სახლებში ელიან ღვინისა და არა მარტო ღვინის მოყვარულებს.

2015 წელში იმერეთის ტურისტული და ბუნებრივი ძეგლები 420 000 ვიზიტორმა მონახულა, მათ შორის უცხოელებს 35 % უჭირავთ.

წყალტუბოში 4 000 ზე მეტმა, ხოლო საირმეში 6 000 – ზე მეტმა კაცმა დაისვენა, ოკაცეს კანიონი 40 000 ვიზიტორმა მინახულა.

სათაფლიის ნაკრძალი 78 000, ხოლო პრომეთს მღვიმე 85 000 ვიზიტორმა დაათვალიერა.

ახალი ხასიათი შეიძინა სასტუმროების ბიზნესის განვითარებამ, მარტო ქუთაისის განთავსების ობიექტებში 77 ოჯახური ტიპის სასტუმროა, 50 ჰოსტელი და 45 სასტუმრო, მომავალ წელს ქუთაისს თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი დიდი სასტუმრო შეემატება.

აღნიშნულს ხელი შეუწყო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გამართულმა მუშაობამ, გაიხსნა პირდაპირი რეისები ბუქარესტის, სტამბულისა და ხარკოვის მიმართულებით. აეროპორტმა ქუთაისში 11 თვეში 81 000 მგზავრი ჩამოიყვანა.

## ინვესტიციები

უკვე დასრულდა წყალტუბოს რეზილიტაციის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების პროექტი განხორციელდა და ქალაქის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი მოწესრიგდა. წინა წლებთან შედარებით პოზიტიური სტატისტიკაა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვიზიტორთა და დამსვენებელთა რაოდენობა. ჩვენ ახლა წყალტუბოს განვითარების შემდეგ ეტაპზე გადავდივართ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ინვესტიციების მოზიდვაზე ვმუშაობთ. უკვე მიღწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმებაც, რაც წყალტუბოში და ზოგადად, იმერეთის რეგიონში დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს და ახალ პერსპექტივებს გააჩენს. ვფიქრობ რომ წყალტუბო თქვენთვის, ბიზნესმენებისთვის, ერთ–ერთი საუკეთესო ადგილია ახალი ბიზნესის წამოსაწყებად. აღნიშნული მიმართულებით მინდა გამოვყო ცენტრალური პარკი, როგორც ძალიან კარგი შესაძლებლობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გეგმავს ცენტრალური პარკის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით იჯარით, ელექტრონული აუქციონის ფორმით გადაცემას, 5-10 წლის ვადით. ცენტრალური პარკის ტერიტორიის თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე შესაძლებელია მსუბუქი კონსტრუქციის შენობების განთავსება, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, ნაყინის, გამაგრილებელი და გაზიანი სასმელებისა და ლუდის ჩამოსასხმელი აპარატების დადგმა. პარკის გარდა წყალტუბოში კიდევ ძალიან ბევრი კომერციულად მომგებიანი ადგილია თქვენი ბიზნეს იდეების განსახორციელებლად. სულ ცოტა ხნის წინ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ღია კარის დღე გაიმართა ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის. მსგავსი ტიპის ფორუმები, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მომავალშიც ჩატარდება.